აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 3

16 მარტი, 2022წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ (09-01-08/24, 02.03.2022)

დასახელება

აჭარის ავტნომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი	აჭარის ავტნომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

02.03.2022 წელი	წამყვანი კომიტეტი: 05.04.2022 სხვა კომიტეტები: 30.03.2022	საგაზაფხულო სესია
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით წარმოდგენილი კანონის პროექტის გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

გთხოვთ, კანონის პროექტს მისცეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: -6- ფურცელი

09-01-08/29
2.03.2022
7. ფურცელი

პატივისცემით,

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge) 13.01.2020, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010020000.30.056.016082) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის ამოღებულ იქნეს;

2. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე მუნიციპალიტეტის ორგანოების შენობებზე, აგრეთვე იმ შენობებზე, სადაც იმართება ამ ორგანოთა სხდომები, – სხდომების მიმდინარეობის პერიოდში.“.

3. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის დაცვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის დაცვას უზრუნველყოფენ საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტის ორგანოები.“.

4. მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მუნიციპალიტეტების გერბების (ჰერალდიკური ნიშნების) ერთდროულად გამოყენების შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი განთავსდება (გამოისახება) სხვა გერბის ან ჰერალდიკური ნიშნის მარცხენა მხარეს (ჰერალდიკური მარჯვენა მხარე) დამკვირვებლის პოზიციიდან, რომელიც ამ გერბის (ჰერალ-დიკური ნიშნის) პირდაპირ დგას.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მუნიციპალიტეტების გერბების (ჰერალდიკური ნიშნების) ერთდროულად გამოყენების შემთხვევაში დაუშვებელია, სხვა გერბი ან ჰერალდიკური ნიშანი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბზე მაღლა განთავსდეს (გამოისახოს) ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბს ზომით აღემატებოდეს.“.

5. მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის დაცვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის დაცვას უზრუნველყოფენ საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტისორგანოები.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე

ბათუმი,
2022 წლის
№

განმარტებითი ბარათი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონის პროექტის შესახებ:

ა.ა) კანონის პროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადება ემსახურება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანას და მიზნად ისახავს ერთი მხრივ ტერმინის „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო“ „მუნიციპალიტეტის ორგანოთი“ შეცვლას, ვინაიდან, კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები და ეს უფლება ხორციელდება მუნიციპალიტეტებში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი. სწორედ მუნიციპალიტეტს, როგორც დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები. ხოლო მეორე მხრივ, შესაბამის ნორმებში „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების“ „მუნიციპალიტეტებით“ ჩანაცვლებას, ვინაიდან კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მუნიციპალიტეტს აქვს გერბი და დროშა. მას შეიძლება ჰქონდეს სხვა სიმბოლოებიც. აღნიშნულის გათვალსიწინებით, გერბი ან სხვა სიმბოლოები გააჩნია მუნიციპალიტეტს, ნაცვლად ადგილობრივი თითმმართველობის ორგანოსი, როგორც ეს კანონის მე-12 მუხლშია აღნიშნული.

ა.ბ) კანონის პროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან შესაბამისობაში შესაბამისობაში მოყვანა, როგორც ტერმინოლოგიური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით.

ა.გ) კანონის პროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, კანონში ტერმინი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო“ იცვლება ტერმინით „მუნიციპალიტეტის ორგანო“, ხოლო კანონის მე-12 მუხლში „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები“ იცვლება „მუნიციპალიტეტებით“, ვინაიდან კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, სიმბოლოები გააჩნია მუნიციპალიტეტს, ნაცვლად მუნიციპალიტეტის ორგანოებისა.

ამასთანავე კანონის მოქმედი რედაქციიდან ამოღებულ იქნება მე-4 მუხლი.

ბ) კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონის პროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი.

ე) კანონის პროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები დავით გაბაიძე და ვლადიმერ მგალობლიშვილი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის დამზადების წესი და პირობები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის დამზადების წესი და პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის აღმართვა და გამოფენა

1. საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა მუდმივად აღმართულია:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შენობაზე;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შენობაზე, აგრეთვე იმ შენობაზე სადაც იმართება მისი სესიები, – სესიების მიმდინარეობის პერიოდში;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შენობაზე;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შენობებზე;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენობებზე, აგრეთვე იმ შენობებზე სადაც იმართება ამ ორგანოთა სხდომები, – სხდომების მიმდინარეობის პერიოდში.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა გამოიფინება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე ოფიციალურ ღონისძიებებზე.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებათა ხელმძღვანელები განსაზღვრავენ თავიანთ დაწესებულებებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის გამოყენების და დაცვის სხვა შემთხვევებს.

მუხლი 8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის დაცვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის დაცვას უზრუნველყოფენ საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები.

მუხლი 12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენების წესი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბისა და მათი გერბების (ჰერალდიკური ნიშნების) ერთდროულად გამოყენების შემ-თხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი განთავსდება (გამოისახება) ადგილობ-რივი თვითმმართველობის ორგანოების გერბის ან ჰერალდიკური ნიშნის მარცხენა მხარეს (ჰერალდიკური მარჯვენა მხარე) დამკვირვებლის პოზიციიდან, რომელიც დგას ამ გერბის (ჰერალდიკური ნიშნის) პირდაპირ.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

გერბისა და მათი გერბების (ჰერალდიკური ნიშნების) ერთდროულად გამოყენების შემთხვევაში დაუშვებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გერბი ან ჰერალდიკური ნიშანი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბზე მაღლა განთავსდეს (გამოისახოს) ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბს ზომით აღემატებოდეს.

3. დაზიანებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენება დაუშვებელია.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენება ამ კანონის დარღვევით ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის შებღალვა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, პოლიტიკურ პარტიებსა და შემოქმედებით კავშირებს ეკრძალებათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის შენობების ფასადებზე, ბლანკებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებზე, ბეჭდებსა და შტამპებზე გამოყენება. სხვა შემთხვევაში ისინი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბს შეუზღუდავად იყენებენ.

მუხლი 14. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის დაცვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის დაცვას უზრუნველყოფენ საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

04/03/2022
N 264

264-09-02-11-3-202203041431

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის შესახებ

(N09-01-08/24, 02.03.2022 წ. ინიციატორები: აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე და ვლადიმერ
მგალობლიშვილი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

წარმოდგენილი კანონის პროექტი შეესაბამება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი